

მემორანდუმი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

31 იანვარი, 2020 წ

ქ. ბათუმი

ერთის მხრივ: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“ წარმომადგენელი აკადემიის რექტორის ირაკლი შარაბიძის სახით და მეორეს მხრივ: ა(ა)იპ ბუღალტერთა კავშირი (საიდენტიფიკაციო კოდი: 400262336), ხელმძღვანელი ტატიანა ბერიძის სახით სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და ურთიერთ პატივისცემის პრინციპებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, საერთო მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და თანხმდებიან ხელი მოაწერონ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ.

მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. კერძოდ:

მუხლი 1. მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის მიზნები

1. მემორანდუმის ფარგლებში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა მოქმედ ბუღალტრებთან და ფინანსური დარგის სხვა სპეციალისტებთან ერთად დაესწრონ ა(ა)იპ ბუღალტერთა კავშირის მიერ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ჩატარებულ ტრენინგებს. გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზაციის ყველა ტრენინგი არის დაფუძნებული პრაქტიკულ სწავლებაზე სტუდენტებს საშუალება ექნებათ შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება და უშუალოდ სამუშაო პროცესში გაეცნონ თეორიულად გავლილ მასალას.
2. მემორანდუმის ფარგლებში ა(ა)იპ ბუღალტერთა კავშირის მიერ ბათუმის საზღვაო აკადემიაში ჩატარებულ ტრენინგებზე დასწრების შესაძლებლობა ექნებათ ბათუმის საზღვაო აკადემიის ფინანსური განყოფილების თანამშრომლებს.

მუხლი 2. მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის ფორმები

1. ზემოხსენებული მიზნების განხორციელებისათვის მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ ნებისმიერი ცივილიზებული ფორმით, რაც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით და არ ეწინააღმდეგება ორგანიზაციების შიდა რეგულაციებს.

მუხლი 3. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმით მხარეები თანხმდებიან აქტიურად ითანამშრომლონ ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად.
2. წინამდებარე მემორანდუმი მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრამდე. მემორანდუმის ვადის გაგრძელების თაობაზე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) მხარეები შეთანხმდებიან დამატებით.

3. წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობის ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ერთ-ერთი ხელმომწერი მხარის წერილობითი განცხადების საფუძველზე, სადაც უნდა იქნას მითითებული მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტისთვის მიზეზები.
4. მხარეთა დამატებითი შეთანხმება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ მემორანდუმით, შეიძლება დაფიქსირდეს დანართი დოკუმენტის სახით.
5. მემორანდუმი ხელმოწერილია ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ ხელმომწერ მხარეებს.

არასაწარმოო არაკომერციული
იურიდიული პირი
ბუღალტერთა კავშირი
ს.ნ 400262336
დირექტორი :

ტატიანა ბერიძე



მისამართი: თბილისი,
კოდალოს 12.
E- mail: bugaltertakavshiri@gmail.com
ტელ: (+995) 598 000 640

„საჯარო სამართლის იურიდიულ
პირის - სასწავლო უნივერსიტეტ
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო
აკადემია“ აკადემიის რექტორი

ირაკლი შარაბიძე



მისამართი: ბათუმი 6010,
რუსთაველის გამზ. 53;
Website: www.bsma.edu.ge;
E-mail: info.mf@bsma.edu.ge;
ტელ.: (+995 422) 274851.